ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-19/01173591931-17

"02" 03 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შპს ,,ვარსკვლავი"-სა და შპს ,,ედელვაისი"-ს მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა ჯავახეთი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია / ქ. თბილისი, შპს ,,ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 24/21) (საკ. კოდი №01.19.20.024.111) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (კომერციული დანიშნულების შენობა – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1419867 05.08.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შპს ,,ვარსკვლავი"-სა და შპს ,,ედელვაისი"-ს მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა ჯავახეთი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია / ქ. თბილისი, შპს ,,ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 24/21) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„G-A" ფასადზე: ,,G-I" მონაკვეთში შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი და გაბარიტები.

„A-G" ფასადზე: ,,I-G" მონაკვეთში შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი და გაბარიტები. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

+0.00 ნიშნულზე გაუქმებულია ,, I-F" და ,,3-4" მონაკვეთების კვეთაზე გაუქმებულია შიდა კიბე.

+2.95 ნიშნულზე გაზრდილია ,,1-1,, და ,,D-D", ,,G-G" ღერძების კვეთაზე არსებული კონსოლის გადმოსვლა.

ფასადები ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია. დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები. ,,G-G" ღერძზე ,,1-3" მონაკვეთში არ არის მოწყობილი საპროექტო კედელი და გამოყენებულია მომიჯნავე შენობის კედელი. ,,I-I" და ,, G-G" ღერძებზე მდებარე კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი. ,,D-A" და ,,1-4" ღერძებში არსებულ შენობაზე არ არის ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.

შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და ფართი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს ,,ვარსკვლავი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შპს ,,ვარსკვლავი"-სა და შპს ,,ედელვაისი"-ს მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა ჯავახეთი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია / ქ. თბილისი, შპს ,,ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 24/21) (საკ. კოდი №01.19.20.024.111) მდებარე მშენებლობადამთავრებული

ობიექტის (კომერციული დანიშნულების შენობა – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/011735919 31-17 25.12.2017წ. განცხადება.
№წ-19/011735919 31-17 26.12.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე